



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიოლოგია

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2,3,4 ივნისი, 2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

დასკვნის წარდგენის თარიღი, 25 ივნისი, 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი- საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (მეშვიდე დონე)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბიოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ბიოლოგია 0511
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს , 07/11/2012მ №189 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბესარიონ ლასარეიშვილი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ინგა დიასამიძე, სსიპ - ბათუმის შოთა

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციციშვილი, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნის პროექტი

▪ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2007 წლიდან. უკანასკნელად მისი აკრედიტაცია განხორციელდა 2012 წელს.

სწავლების ფორმაა - დასწრებული სწავლება. პროგრამის მოცულობაა - 120 ECTS კრედიტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიოლოგია დაფუძნებულია შემდეგ მოდულებზე: 1. ბიომრავალფეროვნება – Biodiversity; 2. ბიოქიმია - Biochemistry; 3. უჯრედისა და განვითარების ბიოლოგია – Cell and Developmental Biology 4. მცენარეთა ბიოლოგია -Plant Biology; 5. იმუნოლოგია/მიკრობიოლოგია - Immunology / Microbiology; 6. ნეირობიოლოგია - Neurobiology; 7. უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია - Cellular and Molecular Biology; 8. გენეტიკა - Genetics.

პროგრამის 120 ECTS კრედიტიდან 30 კრედიტი არის პროგრამის საერთო სავალდებულო კურსები, ხოლო 30 კრედიტი არის სამაგისტრო ნაშრომი. მოდულის სავალდებულო კურსები - 45-50 კრედიტი, ხოლო არჩევითი კურსებისთვის გამოყოფილია 10-15 კრედიტი.

პროგრამა ხორციელდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრირებით. მიმდინარე ეტაპზე, პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 26 სტუდენტს, პროგრამას ემსახურება 49 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, მათგან 25 აფილირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 91 %, მათ შორის მიღებული კვალიფიკაციით 75%, ხოლო შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი 30%-ია.

აკრედიტებულ რეჟიმში პროგრამის განხორციელების პერიოდში პროგრამის მიმართ გამოიყენებოდა უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რაც უზრუნველყოფდა პროგრამის განვითარებაში და განახლებაში ყველა დაინტერესებული მხარის (განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართვას.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა „ჰიბრიდული“ მეთოდით. 2021 წლის 2,3,4 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ინტერვიუება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა 2021 წლის 4 ივნისს (სამუშაო დღის გარკვეულ მონაკვეთში).
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით, დისტანციური მუშაობის რეჟიმის შეფერხებების გარეშე.
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება და შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის საფუძველზე, რომლის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტებს აჩვენა და წარუდგინა პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო სივრცე და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია სტანდარტის ყველა კომპონენტი, ასევე აღნიშნულია წარმოდგენილი პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევები და პროგრესია. დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებისათვის, რაც წინასწარ გაეცნო დაწესებულებას ზოგადი მიგნებების სახით და დადებითად იქნა აღქმული დაწესებულების მიერ.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მუშაობისა და ჩატარებული შეფასების შედეგად აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით შეფასება შემდეგნაირია:

სტანდარტი 1-მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2-მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

-სტანდარტი 3- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი-4--შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5-შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

▪ **კომპონენტი 1.1**

გადაიხედოს პროგრამის მიზნები, მოხდეს მათი დაზუსტება (დარგობრივი სპეციალიზაციის გათვალისწინებით).

▪ **კომპონენტი 1.2**

- პროგრამის ზოგიერთი შედეგი და კურიკულუმის რუკა გაიწეროს ისე რომ, იყოს შეფასებადი და გაზომვადი.

კომპონენტი 2.4

- შეიქმნას ლაბორატორიულ ცხოველთა მოვლისა და გამოყენების ეთიკის საბჭო, რომელიც გასცემს ნებართვას შიდასაუნივერსიტეტო იმ კვლევების ან სასწავლო კურსების განხორციელებაზე, რომლებიც ლაბ ცხოველების გამოყენებას საჭიროებს.

კომპონენტი 2.6

- გაძლიერდეს სტუდენტების პრაქტიკული ცოდნის და ტრანსფერული ცოდნის განმავითარებელი უნარების შეფასება, რათა შეფასდეს რამდენად ეფექტურად შეუძლია სტუდენტს მიღებული ცოდნის პრობლემაზე ორიენტირება და მისი გადაჭრა.

კომპონენტი 4.2

- შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება.
- დიდი ყურადღება დაეთმოს და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალის გაახალგაზრდავებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი 2.1

- გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი პროგრამის დაშვების წინაპირობაში და დისპლომირებული სპეციალისტის მაგივრად დაიწეროს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში განხორციელებული ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების პროგრამა/ პროგრამები.

კომპონენტი 2.3

- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა სილაბუსებში კარგად იყოს გააზრებული და წარმოდგენილი იყოს პრაქტიკული ხასიათის სილაბუსებში, რათა შესაძლებელი იყოს რეალურად გაიზომოს რამდენად გამოუმუშავდა აღნიშნული უნარები სტუდენტს.

კომპონენტი 2.4

- გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა.
- სასურველია პროფესიული უნარების მეტად განვითარება გაუმჯობესდეს სასწავლო კომპონენტში პრაქტიკის გაძლიერების საფუძველზე.

კომპონენტი 2.5

- სასურველია მეტად გაუმჯობესდეს სწავლების მეთოდოლოგიაში ელექტრონული სერვისების მიწოდება.

კომპონენტი 3.1

ექსტრაკურსული აქტივობების გაუმჯობესება, კარიერული სერვისების მეტი აქტიურობა, სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა;

გამოიკვეთა დამატებითი ტრენინგების საჭიროების სასურველობა, კერძოდ გამოიკვეთა ტექნიკური უნარების დეფიციტი, საბიბლიოთეკო და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მოძიების კუთხით;

სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში, გამოიკვეთა დამატებითი ტრენინგების საჭიროების სასურველობა, კერძოდ ტექნიკური უნარების დეფიციტი, საბიბლიოთეკო და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მოძიების კუთხით.

კომპონენტი 5.2

სასურველია, კურსებისა და პროგრამის განვითარებისათვის უკუკავშირების მიღება იყოს რეგულარული ხასიათის.

კომპონენტი 5.3

მემორანდუმების გამრავალფეროვნება და სხვადასხვა პროფილის დამსაქმებელთან ურთიერთობების გაუმჯობესება.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

კომპონენტი 1.1

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-სასწავლო სფეროში დიდი გამოცდილება და პროფესიული უნარები. მათ შორის უცხოელი პროფესორების ჩართვა სხვადასხვა აქტუალური საკითხების ახსნაში;

კომპონენტი 5.1

პროგრამას ყავს წარმატებული მაგისტრები, რომელთა დასაქმების არეალი საკმაოდ მრავალფეროვანია.

კომპონენტი 5.3

სტუდენტებისათვის შიდა საგრანტო პროექტების შეთავაზება, რაც სტუდენტების მოტივაციის ამაღლების საშუალებას-კვლევით პროექტებში ჩართვის მიმართებით.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია დარგში სწავლების საერთაშორისო ტენდენციები და ხაზგასმულია ისეთი კომპეტენციები, როგორც არის დარგში არსებული უახლესი ტენდენციების და ცოდნის დაუფლება, კვლევითი პროექტის წარმართვისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავება, და კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარების განვითარება.

პროგრამის მიზნების მისაღწევად ისწავლება სხვადასხვა მოდულები: ბიომრავალფეროვნება, ბიოქიმია, უჯრედისა და განვითარების ბიოლოგია, მცენარეთა ბიოლოგია, მიკრობიოლოგია/იმუნოლოგია, ნეირობიოლოგია, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია, გენეტიკა.

პროგრამის მიზნები აკრედიტაციის გავლის შემდეგ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საჯარო და ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული პირებისათვის; ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგით დასტურდება, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ.

პროგრამის ცალკეულ მიზნებს ესაჭიროება დაზუსტება და სწორი ფორმულირება. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკის სრულყოფისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის მისია;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა(2018-2024);
- *შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგი;

რეკომენდაციები:

გადაიხედოს პროგრამის მიზნები, მოხდეს მათი დაზუსტება (დარგობრივი სპეციალიზაციის გათვალისწინებით) .

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-სასწავლო სფეროში დიდი გამოცდილება და პროფესიული უნარები.
- აღსანიშნავია უცხოელი პროფესორების აქტიური ჩართულობაც უნივერსიტეტში მიმდინარე სხვადასხვა აქტუალური თემების/ პროექტების/საკითხების ირგვლივ.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მოდულები სწორედაა სასწავლო კომპონენტებით დაბალანსებული. პროგრამა შედეგა მრავალფეროვანი მაპროფილებელი სასწავლო კურსებისგან, რომლებსაც მაგოსტრანტი გაყავს იმ შედეგებზე, რაც ბიოლოგიის შესაბამისი სპეციალიზაციით უნდა გააჩნდეს.

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული იყო აკადემიური პერსონალის მრავალწლიანი გამოცდილება.

პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგები საჭიროებს დახვეწას და სწორ ფორმულირებებს. პროგრამის შედეგები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული და ფორმულირებული, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტების სწავლის პროცესში მათი მიღწევის გაზომვა და შეფასება. გამომდინარე აქედან ვიძლევიტ რეკომენდაციას, რომ გადაიხედოს პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგი, მოხდეს მათი კონკრეტიზება, ინტეგრირება (დუბლირების გამოსარიცხად)

და ფორმულირება ისეთი სახით, რაც მათი მიღწევის შეფასების საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ პერსონალს. დასახვეწია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებიც.

სასურველია, რომ პროგრამის ცალკეული შედეგების ერთიანი, ჯამური შეფასება განხორციელდეს კონკრეტულ მაპროფილებელ სასწავლო კურსებში.

წარმოდგენილი სილაბუსებით და შედეგების რუკით ირკვევა, რომ სასწავლო კურსების უმრავლესობა ავითარებს პროგრამის ყველა შედეგს, რაც საჭიროებს დაკორექტირებას.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ საგნების დონეზე დავალოთ, პროგრამა მოწმობს, რომ ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხის დონეზე გაყავს სტუდენტი. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია კურიკულუმის რუკის დახვეწა, რაც შემდგომ საფუძვლად უდევს პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმების სწორ შედგენას.

ამიტომ ვიძლევი რეკომენდაციას, რომ გადაიხედოს პროგრამის შედეგი ფორმულირებები და ჩამოყალიბდეს სწორი ფორმით .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

- პროგრამის ზოგიერთი შედეგი და კურიკულუმის რუკა გაიწეროს ისე რომ, იყოს შეფასებადი და გაზომვადი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კურიკულუმის რუკაში დაზუსტდეს, თუ რა სიძლიერით გადის თითოეულ შედეგზე თითოეული საგანი (A, B, C...).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს: ბაკალავრის ხარისხი ბიოლოგიაში ან დიპლომირებული სპეციალისტი მედიცინაში ან ბაკალავრი, რომელსაც დამატებით (minor) სპეციალობად არჩეული ჰქონდა ბიოლოგია ან გავლილი აქვს ბიოლოგიის სასწავლო პროგრამის ეკვივალენტური სასწავლო კურსები 30 კრედიტი მაინც; პროგრამაზე ჩასარიცხად ბარდება საერთო სამაგისტრო გამოცდა, გამოცდა ბიოლოგიაში. გამოცდა ტარდება წერითი ფორმით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის

სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.tsu.ge
- ინტერვიუს შედეგი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი პროგრამის დაშვების წინაპირობაში და დისპლომირებული სპეციალისტის მაგივრად დაიწეროს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში განხორციელებული ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების პროგრამა/ პროგრამები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ) მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამა იყენებს ECTS კრედიტებს. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტისა და საუნივერსიტეტო სწავლის ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლები. შეთანხმებული პროგრამა განსახილველად გადაეცა დარგობრივ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ (უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №76/2018 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ).

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო წარდგენილი პროგრამის შესაბამისობის დადგენა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებთან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების/ ინდიკატორების შესაბამისად, რის შემდეგაც გაეგზავნა ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად, ხოლო ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული პროგრამა გადაეგზავნა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად წარადგინა აკადემიურ საბჭოს წინაშე.

- პროგრამის სტრუქტურა პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, ყველა მოდულისათვის აუცილებელია: პროგრამის საერთო სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი, მოდულის სავალდებულო კურსები - 45-50 კრედიტი, არჩევითი კურსები - 10-15 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1)

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ: https://tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2019/1002019//
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №76/2018 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ: https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/762018//
- ბიოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი N1

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი ორიენტირებულია სტუდენტის მიერ ბიოლოგიის მაგისტრისათვის აუცილებელი ცოდნის შეძენასა და სათანადო უნარების გამომუშავებაზე.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს, რომლებიც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების მეშვიდე დონისათვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მითითებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსის სილაბუსში და შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა განსაზღვრულია კურსის სპეციფიკისა და მისი სწავლის შედეგების გათვალისწინებით; სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსით გათვალისწინებული და შესაბამის სილაბუსში მითითებული სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსის შედეგების მიღწევის შეფასებას. შეფასების სიტემა სრულ შესაბამისობაშია არსებულ რეგულაციებთან. ლიტერატურა თანამედროვეა და შეესაბამება კურსის მიზნებს. სილაბუსებში სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ითვალისწინებს ინფორმაციული სისტემების აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- • სასწავლო კურსების სილაბუსები ;
- • საგანმანათლებლო პროგრამის კურსკულუმის რუკა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა სილაბუსებში კარგად იყოს გააზრებული და წარმოდგენილი იყოს პრაქტიკული ხასიათის სილაბუსებში, რათა შესაძლებელი იყოს რეალურად გაიზომოს რამდენად გამოუმუშავდა აღნიშნული უნარები

სტუდენტს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა, მისი კომპონენტები უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში, მათ მონაწილეობას კათედრებთან/ სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში; ამ მიზნით, ფაკულტეტზე ყოველ სემესტრში ტარდება სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჩატარებულ სტუდენტთა უნივერსიტეტთაშორის კონფერენციებში. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებას მათთვის სტაჟირების განხორციელებით. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებულ სხვადასხვა კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო</p>

ღონისძიებების მხარდაჭერაში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის ტრადიცია.

კვლევითი უნარების გამომუშავება ძირითადად ხდება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში, როდესაც სტუდენტი სწავლობს სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებასა და დამუშავებას, ექსპერიმენტის დაგეგმვას, ჩატარებას შედეგების დამუშავებას, ანალიზს და სამეცნიერო დასკვლების ჩამოყალიბებას. ასევე სამეცნიერო ესეს შექმნას და ნაშრომის აუდიტორიასთან პრეზენტაციას.

ქვემოთ მოცემულია სამაგისტრო თემების რამოდენიმე მაგალითი:

- ადამიანის პროსტატის კეთილთვისებიან სიმსივნურ უჯრედებიდან გამოყოფილი ზრდის შემაკავებელი ფაქტორის იდენტიფიცირება და მოქმედების შესწავლა.
- უკიდურეს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს არიდული რაიონების სწორფრთიანები (Insecta: Orthoptera) დავით გარეჯას ღრმულისა და ადიგენი-ასპინძის ეკოტონთა მაგალითზე. Orthoptera insects (Insecta: Orthoptera) of extreme eastern part of Georgia on the example of ecotones of the David Gareja Hollow and Adigeni-Aspindza regions
- ბოტულიზმის მოლეკულურ-გენეტიკური დიაგნოსტიკა პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის გამოყენებით საქართველოში. „Molecular-genetic diagnosis of Botulism using polymerase chain reaction in Georgia“
- საქართველოს თერმული წყლებიდან ბიოტექნოლოგიური პოტენციალის მქონე თერმოფილური მიკროორგანიზმების გამოყოფა და დახასიათება
- Isolation and characterization of thermophilic microorganisms of biotechnological interest from hot springs in Georgia
- შიგელოზით დაავადებული ბავშვების კლინიკური მასალიდან გამოყოფილი ბაქტერიული შტამების ანტიბიოტიკორეზისტენტობის შეფასება. Assessment of antibiotic resistance of bacterial strains isolated from children with shigella infection.
- მეტალთა იონებისა და რეგულატორული ოლიგოპეპტიდების გავლენა გენომური პარამეტრების ცვალებადობაზე in vitro უჯრედულ კულტურებში. Influence of metal ions and
- regulatory oligopeptides on variability of genomic parameters in in vitro cell cultures“
- ადამიანის სხვადასხვა სახით ტრანსფორმირებულ ნერვულ უჯრედებში ენდოგენური ზრდის შემაკავებელი ფაქტორის იდენტიფიცირება და შედარებითი დახასიათება. The Identification and comparative characterization of the endogenous growth inhibitory factor from variously transformed human nerve cells.

- ქამა სოკოს (*Agaricus bisporus*) ნაყოფსხეულის ლექტინების ზოგიერთი ბიოლოგიური ფუნქციების შესწავლა ცხოველურ სისტემაში in vitro" Study of some biological functions of *Agaricus bisporus* lectins in animal system in vitro.
- საკვერცხის კისტის მქონე პაციენტების შრატების ადამიანის ქორიონულ გონადოტროპინთან და მის სუბერთეულებთან დაკავშირების ინჰიბირება ab212418 და SPM522 მონოკლონური ანტისხეულების მიერ". "Inhibition of binding of sera from ovarian cyst patients to human chorionic gonadotropin and its subunits by the monoclonal antibodies ab212418 and SPM522".
- რენიმაციული პაციენტებისგან აღებული ნიმუშებიდან (სისხლი, ნახველი, ქირურგიული ჭრილობა, შარდი) გამოყოფილი *Klebsiella pneumoniae* -ს რეზისტენტობა ანტიბიოტიკების მიმართ". "Antibiotic resistance of *Klebsiella pneumoniae* isolated from samples (blood, sputum, surgical wound, urine) taken from resuscitation patients.
- შარდ-სასქესო სისტემის ინფექციების გამომწვევი *E.coli* შტამების ანტიბიოტიკო და ფაგომგრძობელობის შესწავლა. Study of Bacteriophage and Antibiotic Resistance in Urinary Tract Infection Causing *E.coli*"

ვინაიდან მიკრობიოლოგიის და ასევე სხვა ტიპის ლაბორატორიაში სტუდენტებს შეიძლება შეხება ქონდეთ პოტენციურ პათოგენებთან (პირობით-პათოგენურ ბაქტერიებთან და სხვ.), დაწესებულებას სასურველია გაწერილი ქონდეს SOP-ები.

რადგან პროგრამის ფარგლებში ზოგიერთი სტუდენტი სამეცნიერო ექსპერიმენტული კვლევას ასრულებს ლაბ ცხოველებზე, სასურველია, რომ უნივერსიტეტში შეიქმნას ლაბორატორიული ცხოველების მოვლისა და გამოყენების ბიოეთიკის საუნივერსიტეტო კომიტეტი/ საბჭო, რომელიც გაეცნობა წარმოდგენილ საპროექტი კვლევით წინადადებებს, შესაბამის სამუშაოს ეთიკურ შეფასებას გააკეთებს და კვლევაზე ნებართვას გასცემს (რაც ასევე მნიშვნელოვანია პუბლიკაციის რეიტინგულ ჟურნალში დასაბეჭდათ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის თაობაზე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- შეიქმნას ლაბორატორიულ ცხოველთა მოვლისა და გამოყენების ეთიკური საბჭო,

რომელიც გასცემს ნებართვას შიდასაუნივერსიტეტო იმ კვლევების ან სასწავლო კურსების განხორციელებაზე, რომლებიც ლაბ ცხოველების გამოყენებას საჭიროებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა
- სასურველია პროფესიული უნარების მეტად განვითარება გაუმჯობესდეს სასწავლო კომპონენტში პრაქტიკის გაძლიერების საფუძველზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ფაკულტეტზე რეგულარულად ეწყოფა ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა კონფერენციები
- ადმინისტრაცია რეგულარულად აცხადებს სტუდენტური კვლევების გრანტებს, რითაც ხელს უწყობს სადიპლომო ნაშრომების შესრულებას და პრაქტიკული უნარების და გამოცდილების გამომუშავებას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, გამოიყენება სწავლების/სწავლის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებს ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო

მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია, დებატები; ჯგუფური მუშაობა (cooperative/ collaborative); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; დისტანციური სწავლება; ელექტრონული სწავლება (E - learning) და სხვა. სალექციო კურსები; სემინარული მეცადინეობა; საკონტროლო წერა; შუალედური გამოცდები; ბიოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა; სამეცნიერო კონფერენციებისა და სამეცნიერო სემინარების მუშაობაში მონაწილეობა – პრეზენტაცია (power point); სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და საჯარო დაცვა (power point).

სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლების/სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგეს ინდივიდუალური პროგრამაც. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში.

სტუდენტების ინტერესებს დროს მათი მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ კარგი იქნება თუ მოხდება არა მხოლოდ აღწერილობითი ცოდნის შეფასება, არამედ მათი ანალიტიკური და ტრანსფერული უნარების შეფასებაც, რაც სწავლას მეტ ინტერესს, და ეფექტურობას სტიმულს შესძენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა (დანართი 4);
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;
- უნივერსიტეტის აკადემიურისაბჭოს დადგენილება №71/2018 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია მეტად გაუმჯობესდეს სწავლების მეთოდოლოგიაში ელექტრონული სერვისების მიწოდება.</p>
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რაც ასახულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.</p> <p>შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭვირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ასახულია პროგრამის აღწერით ნაწილში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის</p>

მიერ კრედიტის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება შეფასების სისტემით გათვალისწინებულ ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. შეფასების პროცესით უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირება შეფასების შედეგების, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების თაობაზე. შეფასების წესით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა.

ინდივიდუალური სწავლის შედეგის მიღწევის დონეზე სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (sms.tsu.ge, lms.tsu.ge) და ელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning.tsu.ge) საშუალებით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.).

სამაგისტრო პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია. პრაქტიკული ტიპის კურსებში გამოყენებულია წერიტი დავალებები, საშინაო დავალებები, ექსპერიმენტის ჩატარება, მონაცემები, მათი დამუშავება, ანალიზი და სხვ.

სასწავლო პროცესი სხვადასხვა კურსთან მიმართებაში განსხვავებულია, გამოყენებულია სხვადასხვა ფორმატი: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა, ასევე სხვადასხვა პრაქტიკა. მათი შეფასება სხვადასხვა ხერხით არის განხორციელებული.

გამოყენებულია შემდეგი შეფასების პროცედურა:

აქტიურობა სასემინარო, ან პრაქტიკულ მეცადინეობაზე; საკონტროლო სამუშაო; საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება; წერიტი და ზეპირი საშინაო დავალებები;

შუალედური გამოცდა; საბოლოო გამოცდა; ექსპერიმენტის დემონსტრირება და სხვა;

პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება სილაბუსით გათვალისწინებული

კრიტერიუმების მიხედვით.

ყველა საგანში ლექტორები მიმართავენ სტუდენტების შუალედურ გამოკითხვას. შუალედური შემოწმების დროს სტუდენტს ევალება განვლილი მასალის ცოდნის დადასტურება, შემოწმება ხდება სხვადასხვა ფორმატით. ამასთან ერთი შუალედური შემოწმება მაინც აუცილებლად არის წერითი. სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, (FX)-ის მიღების შემთხვევაში რექტორატი დამატებით გამოცდას დანიშნავს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ასევე მოაზრებულია სხვა ტიპის შეფასების სქემაც, კერძოდ, კვლევითი ნაშრომის, რომელიც შემუშავებულია ფაკულტეტზე და ითვალისწინებს დარგების სპეციფიკას. ქვემოთ წარმოგიდგენთ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სქემას:

ხელმძღვანელის შეფასება - 20 ქულა რეცენზირება - 20 ქულა საჯარო დაცვა/დაცვის კომისიის შეფასება - 60 ქულა (მინიმალური ქულა 31) შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

<p>(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი - 51-60 ქულა; (F) ჩაიჭრა - 50 ქულა და ნაკლები</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.</p> <p>(F) ჩაიჭრა – შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის გაწერილი სილაბუსში.</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე, მოცემულია დანართი 1-ში.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1); ○ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1); ○ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი. • ინტერვიუები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ გაძლიერდეს სტუდენტების პრაქტიკული ცოდნის და ტრანსფერული ცოდნის განმავითარებელი უნარების შეფასება, რათა შეფასდეს რამდენად ეფექტურად შეუძლია სტუდენტს მიღებული ცოდნის პრობლემაზე ორიენტირება და მისი გადაჭრა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p>

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტსა და მაგისტრატურაში ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, სადაც დეტალურადაა აღწერილი პირობები და ორივე მხარის ვალდებულებები. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მაგისტრატურაზე ჩარიცხვის მოტივაცია იყო სასწავლო ბაზების მრავალფეროვნება, ფართო კვლევისა და სწავლის შესაძლებლობები და პროფესორ-მასწავლებლების გამოცდილება. სტუდენტთა დიდი ნაწილი ბაკალავრიატშიც ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა და გადმოცემით, ბაკალავრიატში მიღებული გამოცდილებით, სწავლის გაგრძელება სხვა უნივერსიტეტი არ განიხილებოდა.

ჩარიცხულ სტუდენტებს ერთი კვირის განმავლობაში უტარდებათ კონსულტაციები, როდესაც სხვადასხვა დეპარტამენტები ხვდებიან სტუდენტებს და წარუდგენენ

საუნივერსიტეტო სერვისებს. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სასწავლო გარემოსა და პროცესთან დაკავშირებით. სტუდენტებს სწავლის პროცესში საშუალება აქვთ დამატებითი კონსულტაციები გაიარონ პროგრამის ან კურსის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან და სხვა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

პროცესის ადმინისტრირების, სწავლა-სწავლებისა თუ კვლევის პროცესების გასაუმჯობესებლად თსუ-ში მიმდინარეობს სტუდენტთა ანონიმური ყოველ სემესტრული გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგებით ფასდება საუნივერსიტეტო სერვისებისა და სასწავლო პროცესის პოზიტიური და გასაუმჯობესებელი მხარეები.

თსუ-ს ყველა სტუდენტს აქვს საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტა. სტუდენტებისთვის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე გავლილ სასწავლო კურსებში მიღებული შეფასებები განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პლატფორმაზე.

უნივერსიტეტში არსებული კარიერული განვითარების ცენტრი სტუდენტებს კონსულტირებას უწევს კარიერული განვითარების ხელშეწყობისათვის. სტუდენტები რეგულარულად იღებენ საინფორმაციო იმეილებს დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. თუმცა, სტუდენტებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ დასაქმებას ძირითადად საკუთარი კავშირებით უზრუნველყოფენ და ნაკლებად იყენებენ კარიერული განვითარების ცენტრის რესურსს. ასევე, ისურვებდნენ, რომ დასაქმების შეთავაზებები უფრო მორგებული იყოს მათ სპეციალობაზე.

ნებისმიერ საკითხზე საჭირო ინფორმაციის მიღება სტუდენტს შეუძლია, აგრეთვე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომელსაც აკონტროლებს და სტუდენტის სურვილებზე, მოთხოვნებსა და მოსაზრებებზე რეაგირებას ახდენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის კანცელარია.

ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან თანამშრომლობს. თანამშრომლობა მიზნად ისახავს პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, კვლევითი მასალების, საგანმანათლებლო და განვითარების პროგრამების საერთაშორისო გაცვლაში ხელშეწყობას. სტუდენტებთან ინტერვიუსას, აღმოჩნდა, რომ უმეტესობა არ არის ინფორმირებული ან დაინტერესებული საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებთან/კონფერენციებთან დაკავშირებით. ასევე, გამოთქვეს სურვილი, რომ უნივერსიტეტში იყოს მეტი ექტრაკურიკულური აქტივობები და პრაქტიკული გასვლითი ღონისძიებები.

სასწავლო პროცესთან და გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია, სტუდენტებს ახლო კომუნიკაცია აქვთ ლექტორებთან. უნივერსიტეტში არსებული საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს გამოცდების პროცესის გამჭირვალეობას.

სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში, გამოიკვეთა დამატებითი ტრენინგების საჭიროების სასურველობა, კერძოდ გამოიკვეთა ტექნიკური უნარების დეფიციტი, საბიბლიოთეკო და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მოძიების კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები
- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულება: <https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/career>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ექსტრაკურსული აქტივობების გაუმჯობესება, კარიერული სერვისების მეტი აქტიურობა, სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა;

გამოიკვეთა დამატებითი ტრენინგების საჭიროების აუცილებლობა, კერძოდ გამოიკვეთა ტექნიკური უნარების დეფიციტი, საბიბლიოთეკო და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მოძიების კუთხით;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის თემების შემუშავება და ხელმძღვანელობა ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელისა და დეპარტამენტის სხვა თანამშრომლების მიერ. თემა თანხმდება ხელმძღვანელისა და სტუდენტის შეთანხმებისა და ორმხრივი დაინტერესების საფუძველზე. ნაშრომის შესრულება ხდება მეოთხე სემესტრში; მეოთხე სემესტრამდე ტარდება ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრები სავარაუდო ხელმძღვანელსა და სტუდენტებს შორის, განიხილება სავარაუდო თემები, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მეტ დაინტერესებასა და ჩართულობას. სტუდენტების გადმოცემით, მათ უმრავლესობას სავარაუდო თემა და ხელმძღვანელი არჩეული ჰყავთ მაგისტრატურაში ჩაბარებამდე, და ჩაბარების მოტივატორი ხშირ შემთხვევაში კონკრეტულ პროფესორ-მასწავლებლებთან უშუალო და გამოცდილების შეძენაა.

თემების არჩევის შემდეგ, სამაგისტრო ნაშრომების თემებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, ხოლო შესრულების მონიტორინგს ასრულებს ბიოლოგიის დეპარტამენტი. სტუდენტებისთვის ტარდება ტრენინგები აკადემიური კეთილსინდისიერების თემებზე, ასევე სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურისა და წერის თავისებურებებზე.

თემის დამუშავების შემდეგ, აუცილებელია მისი დაცვა, რაც ხორციელდება ძირითადი და დამატებითი გამოცდების შუა პერიოდში გამართულ საფაკულტეტო სტუდენტურ კონფერენციაზე.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება რეცენზენტის, ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში, პლაგიატის დეტექტორი პროგრამის გამოყენებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგიის“ ფარგლებში შესრულებული
- სამაგისტრო ნაშრომები;
- სატუდენტური კონფერენციის ვებ გვერდი: <http://conference.sens-2020.tsu.ge/>;
- მაგისტრანტის ხელმძღვანელი უფლებები და მოვალეობები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ ბიოლოგიის დარგის, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები, მრავალწლიანი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილებით, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე უცხოეთში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ფუნქციები და დატვირთვა სრულადაა შესაბამისობაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომელიც რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში შემუშავებული შიდა რეგულაციებით. აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის არჩევა ხდება ღია კონკურსით, რაც რეგულირდება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით (<https://www.tsu.ge/ka/legalakad/39612>). უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აკადემიური მოსწრებები რეგულირდება დადგენილებით №118/2014, 22 დეკემბერი, 2014.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის დამადასტურებელია მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები წარმოდგენილი ადგილობრივ თუ საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში, (115 პუბლიკაცია, მათ შორის 59 - WEB OF SCIENCE ინდექსირებული), მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. აღსანიშნავია მათი ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, პროგრამაში ჩართულ პერსონალს კონფერენციებზე გაკეთებული აქვთ 187 მოხსენება. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია ასევე სრულ შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ მოთხოვნებთან.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა, ასევე მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობები, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას.

ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 49 პედაგოგი. მათ შორის 25 აკადემიური, ყველა მათგანი არის აფილირებული და 24 მოწვეული პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, დამხმარე პერსონალის (13 თანამშრომელი) ჩართულობა უზრუნველყოფს, როგორც სასწავლო პროგრამის განხორციელებას, ასევე მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების შესრულებას.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (25/24), ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (49/46) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ბიოლოგიის დარგის წამყვან მეცნიერებს, პუბლიკაციების მაღალი ციტირების ინდექსით, მათ უდავოდ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შესამუშავებლად მათ გაითვალისწინეს ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება. პროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიის მულტიდისციპლინარულ ასპექტს, გამომდინარე საგანთა ველი წარმოდგენილია მოდულების სახით:

1. ბიომრავალფეროვნება – Biodiversity; 2. ბიოქიმია - Biochemistry; 3. უჯრედისა და განვითარების ბიოლოგია – Cell and Developmental Biology; 4. მცენარეთა ბიოლოგია -Plant Biology; 5. იმუნოლოგია/მიკრობიოლოგია - Immunology / Microbiology; 6. ნეირობიოლოგია - Neurobiology; 7. უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია - Cellular and Molecular Biology; 8. გენეტიკა - Genetics, რაც ცალსახად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების ჯეროვნად შესრულებას.

ასევე უნდა გაეცვას ხაზი პროგრამის ხელმძღვანელების რაოდენობას, პროგრამას ყავს 8 ხელმძღვანელი, რაც ჩვენი აზრით განპირობებულია ბიოლოგიის დარგის მულტიდისციპლინარული ასპექტით, დისციპლინები ჩაშლილია მოდულების ფორმით და თვითოეული ხელმძღვანელი წარმადგენს უდავოდ მაღალი გამოცდილების მქონე პროფესიონალს იმ დისციპლინებში რომელსაც ხელმძღვანელობს.

პროგრამის ხელმძღვანელების მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს მათი ჩართულობა საგრანტო პროექტებში, 45 გრანტი ეროვნული და საერთაშორისო ფონდების მიერ დაფინანსებული.

პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უშუალოდაა ჩართული პროგრამის სწორად და ეფექტურად წარმართვის საქმიანობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი ფაილები;

<ul style="list-style-type: none"> • სასწავლო კურსების სილაბუსები; • ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელშეკრულებები; • გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან; <p>გასაუბრება კურსდამთავრებულებულებთან;</p>
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
<ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი. პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის გავითარების სამსახურის ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას, რასაც კორდინაციას უწევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, კერძოდ დაგენილებების 2018 წლის 26</p>

თებერვლის N 78/2018 და N 81/2018 საფუძველზე უნივერსიტეტის პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი ავსებს თვითშეფასების კითხვარს, რაც ხაზს უსვამს არსებულ ძლიერი და სუსტი მხარეებს, გამომდინარე იგეგმება რიგი ქმედებებისა არსებული სისუსტეების აღმოსაფხვრელად.

ასევე ყოველწლიურად მიმდინარეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის ანგარიშების მომზადება და წარდგენა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში განსახილველად.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესში ასევე ჩართულები არიან სტუდენტებიც, მათი ჩართულობა აღნიშნულ პროცესში მეტყველებს პედაგოგიური პერსონალის შეფასების ობიექტურობის მაღალ ხარისხზე.

უნივერსიტეტში შემუშავებულია განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, აღნიშნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს აკადემიური/მოწვეული, სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, რაც გამოიხატება აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით მონაწილეობის მიღებაში გაცვლით პროექტებში მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ასევე პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით ტარდება საჯარო ლექციები.

აღნიშნული ნათლად ჩანს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებების ჩამონათვალში (დანართი 12)

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ქვეყანაში მოქმედ ბიოლოგიის მიმართულების წამყვან ინსტიტუციებთან, რაც ცალსახად ხელს უწყობს როგორც განათლების პროცესის სრულყოფას ასევე, პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის პროფესიულ ზრდას.

პროგრამას ყავს საუკეთესო, მაღალი პროფესიონალიზმის, გამოცდილების და კვალიფიკაციის სამეცნიერო, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. თუმცა მკაფიოდ იგრძნობა ახალგაზრდა კადრის დეფიციტი. პროგრამაზე არიან ახალგაზრდა, წარმატებული მკვლევარები და პედაგოგები, რომლებიც კვლავაც მოწვეული პედაგოგის ან ლაბორანტის სტატუსით სარგებლობენ. პროგრამის განგრძობით პერიოდში მდგრადობის უზრუნველყოფა კი მოითხოვს ახალგაზრდა აკადემიური კადრის არსებობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკმაოდ აქტიურად ფასდება პროფესორის თუ სხვა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა, რასაც ითვალისწინებენ არა მხოლოდ პროფესორად არჩევის კონკურსებზე, არამედ გამოიყენება ფინანსური წახალისების პრაქტიკაც. ეს შესანიშნავია და დასაფასებელია. თუმცა, არ არის გამოკვეთილი პროფესორების და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური (სახელმძღვანელოს დაწერა, სახელმძღვანელოს თარგმნა, ახალი სასწავლო კურსების დანერგვა, საკვალიფიკაციო კურსების, ტრენინგების, პროფესიული სკოლების მოწყობა, სტუდენტური კონფერენციების ორგანიზება და მხარდაჭერა, აკრედიტაციის პროცესში

მონაწილეობა, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სტუდენტების მომზადება კონფერენციებისთვის და სხვ.) და საჯარო აქტივობების (პოპულარული, საჯარო, ღია ლექციების წაკითხვა, სკოლის მოსწავლეების სპეც პროექტების მომზადება, აბიტურიენტებთან გაცნობითი შეხვედრები და დარგის პოპულარიზაცია და სხვ.) **რაოდენობრივი (ქულებით) შეფასების მექანიზმები**, რაც სტუდენტებისთვის გაცილებით უფრო სასარგებლოა და რაც უკვე სოლიდურად ფასდება ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე უნივერსიტეტებში.

ლექტორის მიერ გაწეული ისეთი აქტივობა, როგორცაა სახელმძღვანელოების (სალექციო კურსები, ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებულები, ლაბორატორიული პრაქტიკუმების კრებულები) წერა/თარგმნა/რედაქტირება, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია საგანმანათლებლო პროცესების წარმატებით განხორციელებისთვის. სამეცნიერო პუბლიკაციებზე მუშაობასთან ერთდ, სასწავლო ლიტერატურის მომზადების საკითხს დიდი ყურადღება უნდა მიენიჭოს. კარგი სახელმძღვანელო, რომელიც მორგებულია სალექციო კურსებთან, დიდი კომფორტია სტუდენტისთვის და საგნის წარმატებით დაძლევის ერთგვარი გარანტია.

სასწავლო პროცესის ეფექტურობის გასაზრდელად და აკადემიური პროდუქტიულობის გასაძლიერებლად აუცილებელია, რომ პროფესორის თუ სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების მეტი წახალისება მოხდეს. ასეთ შემთხვევაში მათ მეტი სტიმული ექნებათ შექმნან სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე (რისი დიდი დეფიციტიც არსებობს); უნივერსიტეტმა როგორც რეგიონში არსებულმა მოწინავე სამეცნიერო-კვლევითი ტრადიციების ინსტიტუციამ, სასურველია მეტად იტვირთოს სხვა ინსტიტუციებთან უახლესი ცოდნის და სამეცნიერო გამოცდილების გაზიარების როლი, მოაწყოს საჯარო ლექციები სხვა ინსტიტუციებში და ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში; აკადემიურ კონკურსებზე დანერგონ ახალი სასწავლო (თეორიული თუ ლაბორატორიული) კურსები, პოპულარიზაცია გაუკეთონ დარგს, ორგანიზება გაუკეთონ ტრენინგებს და სხვ.

სასურველია, რომ აკადემიურ კონკურსებზე რაოდენობრივად გაიზომოს ისეთი აქტივობები ახალი სასწავლო კურსის შექმნა და დანერგვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები;
- ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ;
- ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

<ul style="list-style-type: none"> ○ აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ○ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები; ○ გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
<p>რეკომენდაციები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება. 2. დიდი ყურადღება დაეთმოს და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალის გაახალგაზრდაებისთვის.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მაღალი კვალიფიკაციის და დიდი გამოცდილების პედაგოგიური კადრი ○ ზოგიერთ საგნის ცალკეულ თემების წაკითხვაში უცხოელი პროფესორების მონაწილეობა ○ ზოგიერთი პროფესორის აქტიური ჩართულობა საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო მიმართულებით - უცხოეთის მოწინავე უნივერსიტეტებში ○ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ აკადემიური პერსონალისათვის იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნების ხარჯების დაფინანსება, ასევე აკადემიური პერსონალის ფინანსური წახალისება პუბლიკაციის გამოქვეყნებისთვის ○ ადმინისტრაციის მიერ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯების დაფარვა
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის XI კორპუსის ბაზაზე არსებული ობიექტები, რომელიც ემსახურება ბიოლოგიის როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამებს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის რესურსცენტრები სრულად არის ხელმისაწვდომი პროგრამის იმპლემენტაციისთვის.

სხვადასხვა რაოდენობის მსმენელზე გათვლილი აუდიტორიები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც ფუნქციონირებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის XI კორპუსის ბაზაზე, არის სრულად აღჭურვილი ყველა აუცილებელი შესაძლებლობებით, ლაბორატორიული ტექნიკით, რომლის სრული ჩამონათვალი წარმოდგენილია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, ფუნქციონირებს ვივარიუმი, რომელიც გათვლილია მცირე ლაბორატორიული ცხოველებისა და ქორდიანების შენახვისა და გამრავლებისთვის. ვივარიუმი არის იზოლირებული და დაცულია ცხოველთა შენახვის, მოვლის და გამოყენების ყველა მოთხოვნა.

უნივერსიტეტის XI კორპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ბიბლიოთეკას (რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე სამკითხველო სივრცით), კაფეტერიას, პარკინგს, საკონფერენციო აუდიტორიებს, ფუნქციონირებს ზოოლოგიის და გეოლოგიის მუზეუმები რომლებშიც წარმოდგენილია უნიკალური ექსპონატები, აღსანიშნავია უნიკალური ჰერბარიუმი რომელშიც წარმოდგენილია XIII საუკუნის უნიკალური ექსპონატები, იგეგმება ჰერბარიუმის დიგიტალიზაცია და საცავის რეკონსტრუქცია.

უახლესი სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა წარმოდგენილია ფართოდ, როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული რესურსებით, ხელმისაწვდომია ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Cambridge University Journals. უნივერსიტეს აქვს წვდომა შემდეგ სამეცნიერო ბაზებთან: Google Scholar, Web of Science, Scopus, Science Direct.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქვეყნის წამყვან ბიოსამედიცინო და ბიოაგრარული პროფილის მქონე ინსტიტუტებთან, აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებენ ამ ინსტიტუტების, როგორც სამეცნიერო კადრების, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური ბაზების გამოყენებას პროგრამის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სწავლების ელექტრონული პორტალი “elearning” და პროგრამა „TURNITIN“.

- უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- ვიზიტი უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დათვალიერების მიზნით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- გასაუბრებები აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, ადმინისტრაციასთან;
- ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლების-გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით, უნივერსიტეტის ხარჯვით ნაწილში ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი განიხილება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტთან ერთობლიობაში.</p> <p>აღსანიშნავია, რომ გარდა საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თემატიკებისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოდგენილია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტებით, რომელთა დაფინანსების წილი ცალსახად ისახება უნივერსიტეტის ფინანსურ შემოსავლებში.</p> <p>ინსტიტუცია წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ, ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი; ○ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი; ○ ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრება უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურების წარმომადგენლებთან და პრორექტორთან;
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება</p> <p>ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უნივერსიტეტში კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც შემუშავებული აქვს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა.</p> <p>სისტემა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:</p> <p>1.საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება: საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით უფლებამოსილი ორგანოების მიერ: სილაბუსების შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით/ინდიკატორებით: წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე, მიზნებისა და სწავლის შედეგების, სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების, შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, კრედიტების რაოდენობის სწორად გამოყენება, სავალდებულო/ძირითადი და დამატებითი ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალების სიახლე და სხვ.;</p> <p>2.სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასება ხორციელდება საგანგებოდ შემუშავებული</p>

და დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით უფლებამოსილი ორგანოების მიერ;

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება (მათ დამტკიცებამდე და ამოქმედებამდე) ხდება შემდეგი კრიტერიუმების/ინდიკატორების გათვალისწინებით: წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის შესაბამისობა პროგრამის შინაარსთან, კრედიტების ადეკვატურად განაწილება, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, პროგრამის სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, პროგრამის შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, შეფასების სისტემის შესაბამისობა საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან, და სხვ.;

3. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოელი სპეციალისტების) ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების/მოდერნიზაციის პროცესში;

დამსაქმებლები და სტუდენტები მონაწილეობენ პროგრამის დაგეგმვის შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის მუშაობაში, რომელიც მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

კომიტეტზე აქტიურად მიმდინარეობს პროგრამაში ცვლილებების შესატანი საკითხების განხილვა.

4. დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება უნივერსიტეტში შემუშავებული და დამტკიცებული წესისა და ინდიკატორების შესაბამისად; უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება ხდება კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით;

5. თსუში უზრუნველყოფილია სტუდენტების და პერსონალის, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების და სხვ. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები, ასევე მათი კმაყოფილების კვლევა უნივერსიტეტის პედაგოგიური პერსონალის საგანმანათლებლო საქმიანობასთან, პერსონალის მომსახურების ხარისხთან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და, საბიბლიოთეკო ფონდებთან წვდომაზე.

6. დაწესებულებაში სისტემატურ ხასიათს ატარებს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისთვის კონსულტაციის გაწევა სწავლების მეთოდების, გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციისა და სხვა მათთვის საჭირო საკითხების ირგვლივ;

7. სტუდენტების სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით ფაკულტეტზე საპილოტე რეჟიმში ხორციელდება პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს გადაწყვეტილებათა მიღების და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით სტუდენტების ჩართულობის გაზრდას. პროექტი ხორციელდება შოტლანდიური ორგანიზაციის „Sparqs (Student partnerships in quality Scotland)“ მხარდაჭერით. პროექტში ჩართულნი არიან ყველა საფეხურის სტუდენტები. მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართულობა თვითშეფასების პროცესის კოორდინირება/თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესშიც და სხვ.

8. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური რეგულარულად ატარებს პროგრამების შიდა მონიტორინგს, რაც ხელს უწყობს პროგრამების განვითარება-დახვეწას.

რეგულარულად ორგანიზდება პროგრამების ე. წ. „კოლეგიალური შეფასება“, რომლის დროსაც სხვა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები ახორციელებენ პროგრამების მონიტორინგს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N04/03 „სიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
- უნივერსიტეტის სილაბუსების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N02/03 სიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიურისაბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება N67/2018 სიპივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.
- ხარისხის სამსახურის ანგარიში.
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამას ყავს წარმატებული მაგისტრები, რომელთა დასაქმების არეალი საკმაოდ

მრავალფეროვანია.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2 გარე ხარისხის შეფასება
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p> <p>ფაკულტეტზე მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა აკადემიური და კვლევითი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ხარისხის უზრუნველყოფის მიმართებით. ამ მიზნით მოწმდება და ფასდება, როგორც აკადემიური პერსონალის შესაბამისობა, ასევე მათ მიერ გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხი.</p> <p>ჩამოყალიბებულია პროგრამის განვითარების კომიტეტი (რომლის ძირითადი ბირთვია კურსდამთავრებულები, ინდუსტრიის წარმომადგენლები და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი), რომლის რეკომენდაციებით მოხდება პროგრამის განახლება ან ცვლილება, აუცილებლობის შემთხვევაში.</p> <p>უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.</p> <p>ფაკულტეტზე მუდმივად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა/გარე ხარისხის შეფასება სხვადასხვა მიმართულებებით: კერძოდ: არის პროფესორის ნაწილი, რომელიც არის ჩართული ევროპულ, წამყვან უნივერსიტეტში.</p> <p>შესაბამისად, მათი ჩართულობით პერიოდულად მიმდინარეობს ცალკეული კურსების ფარგლებში უკუკავშირის და შეფასების მიღება ევროპელი ექსპერტებისგან. რის შემდეგაც ხდება მათი რეკომენდაციების გათვალისწინება და აუცილებლობის შემთხვევაში კურსებში გარკვეული ცვლილებების შეტანა.</p>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მტკიცებულებები/ინდიკატორები
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება და ოქმი;
- დასაქმების ბაზრის კვლევა;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები; <https://www.tsu.ge/ka/quality-assurance>
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება.
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, კურსებისა და პროგრამის განვითარებისათვის უკუკავშირების მიღება იყოს რეგულარული ხასიათის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. წელიწადში ორჯერ კონკრეტული მეთოდოლოგიის საფუძველზე შეირჩევა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც გადის კოლეგიურ შეფასებას. შეფასების პროცესი

ფაქტობრივად უახლოვდება აკრედიტაციის პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებს ერთი მხრივ ექსპერტთა ჯგუფი (სტუდენტ ექსპერტის ჩათვლით), ხოლო მეორეს მხრივ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები და საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული ყველა სხვა დაინტერესებული პირი. ასეთი შეფასება განმავითარებელი ხასიათისაა, და მიმდინარეობს მუშაობა პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

2019 წელს პროგრამამ გაიარა შიდა კოლეგიალური შეფასება, რომელიც ეყრდნობოდა სიმულაციის პროცესს. შეფასების პროცესში ჩართული იყვნენ ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის წარმომადგენლები, შეფასებისას გამოკვეთილი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამის შემუსავებისას.

სასწავლო წლის განმავლობაში დამსაქმებლებების გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად ხდება ცვლილებების შეტანა პროგრამის როგორც შინაარსობრივ, ასევე ადმინისტრაციულ ნაწილში, მაგალითად იცვლება მისაღები კონტიგენტის რაოდენობა და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება და ოქმი (დანართი 13);
- დასაქმების ბაზრის კვლევა (დანართი 8);
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება.
- უნივერსიტეტის ხარისხის დებულება
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N04/03 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N02/03 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება N67/2018 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ <https://tsu.ge/ka/legalakad/39612>
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წლიური ანგარიში (2020).
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მემორანდუმების გამრავალფეროვნება და სხვადასხვა პროფილის დამსაქმებელთან ურთიერთობების გაუმჯობესება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

სტუდენტებისათვის შიდა საგრანტო პროექტების შეთავაზება, რაც სტუდენტების მოტივაციის ამაღლების საშუალებაა-კვლევით პროექტებში ჩართვის მიმართებით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ბიოლოგია, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ბესარიონ ლასარეიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის


ინგა დიასამიძე



ლევან ციციშვილი



ირმა ქურდაძე



მარიამ აბულაძე

